გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 127

2023 წლის 14 ივლისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ცისკარა ტატიაშვილს შორის 2021 წლის 12 ივლისს გაფორმებული №10 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №2 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №3 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ცისკარა ტატიაშვილს შორის 2021 წლის 12 ივლისს გაფორმდა №10 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 297 კვ.მ; ს/კ 66.45.10.769 (ახალი ს/კ 66.45.10.848)) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ცისკარა ტატიაშვილის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულების განხორციელების მიზნით, მის მიერ აშენებულ იქნა შენობა-ნაგებობა, დარჩენილია გარკვეული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, თუმცა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეფერხდა მშენებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცისკარა ტატიაშვილი ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით. გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მითითებული პირობის შესრულების ვადა გაგრძელდეს 6 (ექვსი) თვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ცისკარა ტატიაშვილს შორის 2021 წლის 12 ივლისს გაფორმებული №10 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 297 კვ.მ; ს/კ 66.45.10.769 (ახალი ს/კ 66.45.10.848)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ცისკარა ტატიაშვილს შორის 2021 წლის 12 ივლისს გაფორმებული №10 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 297 კვ.მ; ს/კ 66.45.10.769 (ახალი ს/კ 66.45.10.848)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**